მსხვერპლი ქალის სინდრომით ჩადენილი ქმედების აუცილებელ მოგერიებად კვალიფიკაცია

თამთა ნაფიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამთა ნაფიშვილი

23.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, მსხვერპლი ქალის სინდრომით (Battered Woman Syndrome) ჩადენილი ქმედების აუცილებელ მოგერიებად შეფასების პერსპექტივების განხილვა. კერძოდ, რამდენად შესაძლებელია ხანგრძლივი და სისტემატური ზემოქმედების პირობებში ჩადენილი ძალადობის დროს მსხვერპლის მიერ მოძალადეზე ფიზიკური ანგარიშსწორება აუცილებელ მოგერიებად შეფასდეს. ამ მიზნით, კვლევის ფარგლებში განხილულია როგორც ოჯახში ძალადობის ბუნება და მახასიათებლები, ისე ძალადობის გაუმხებლობის მიზეზები, რის გამოც მსხვერპლი მოძალადესთან დარჩენას ამჯობინებს. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია აუცილებელი მოგერიების იმწუთიერობაზე, რომლის ტრადიციული გაგებით, თავდასხმა და მოგერიება დროში არ უნდა იყოს აცდენილი.

ნაშრომი ეფუძნება შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკას, რომელთა მეშვეობითაც ხდება არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და დგინდება თავდაცვის უფლების გამოყენების ფარგლები. კვლევის შედეგად გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც ერთი მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებაზე, ხოლო მეორე მხრივ, გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების სისტემის დანერგვის აუცილებლობაზე მიუთითებს.

იურიდიულ მეცნიერებაში აღნიშნული თემაზე მსჯელობის სიმწირიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომი ერთგვარი მცდელობაა, კრიტიკულად შეაფასოს აუცილებელი მოგერიების კრიტერიუმები და განიხილოს ძალადობის მსხვერპლის მიერ თავდაცვის უფლების გამოყენების აუცილებელ მოგერიებად დაკვალიფიცირების შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები:

მსხვერპლი ქალის სინდრომი; აუცილებელი მოგერიება; იმწუთიერების კრიტერიუმი; ოჯახში ძალადობა; ფსიქოლოგიური ზეწოლა; თვითდაცვის უფლება; გენდერული მართლმსაჯულება; სისხლის სამართალი; ძალადობის პრევენცია.

Abstract

The aim of this thesis is to explore the perspectives of qualifying an act committed under the conditions of Battered Woman Syndrome as self-defense. Specifically, it examines whether, in cases of long-term and systematic abuse, a victim's act of physical retaliation against the abuser can be legally classified as necessary self-defense. To this end, the research analyzes the nature and characteristics of domestic violence, as well as the reasons victims often choose to remain with their abusers. Special emphasis is placed on the immediacy criterion of self-defense, which in traditional interpretation requires that the attack and the defensive act occur simultaneously.

The thesis is based on comparative legal analysis and draws on the case law of the European Court of Human Rights and the common courts of Georgia. Through this analysis, the study identifies existing challenges and outlines the scope of the right to self-defense. To address the challenges revealed by the research, the thesis offers recommendations concerning the need for legislative reform and the implementation of a gender-sensitive justice system.

Given the scarcity of discussion on this topic in legal scholarship, this work represents an attempt to critically assess the criteria for necessary self-defense and to examine the possibility of qualifying a victim's defensive act as lawful under the framework of Battered Woman Syndrome.

Keywords:

Battered Woman Syndrome; self-defense; immediacy criterion; domestic violence; psychological coercion; right to self-defense; gender-sensitive justice; criminal law; violence prevention.